



## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000061552123920

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 7

06 / მაისი / 2020 წ.

### დადგენილება

**„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 05/01/2018, 010250020.35.162.016417) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

#### 1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 15. მერიის საჯარო მოსამსახურეები

1. მერიაში საჯარო სამსახურს ეწევიან პროფესიული საჯარო მოხელეები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

2. მერიის პროფესიული საჯარო მოხელეა პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის სამტატო თანამდებობაზე;

მერიის პროფესიული საჯარო მოხელეები არიან:

ა) პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი;

ბ) მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი-განყოფილების უფროსი;

გ) სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელეები.

3. მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული არიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები, რომლებიც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით განერილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების საფუძველზე მერს ხელს უწყობენ მის განხორციელებაში და სამსახურში მიიღებიან არაუმეტეს მერის უფლებამოსილების ვადით;

4. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია პირი-რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დანებსებულების დამხმარე ან არამუდმივ ამოცანათა შესრულების უფლებამოსილება.“

#### 2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-17 მუხლი ამოღებულ იქნეს;

**3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1.მერის წარმომადგენელი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს მერი.“

**4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, უფლებამოსილი პირისათვის შესაბამისი ცნობის გასაცემად საჭირო ყველა ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და შესაბამისი ცნობის გაცემის მიზნით, ადასტურებს ფაქტებს ან გასცემს რეკომენდაციებს:

დ.ა) „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის N46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;

დ.ბ) საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ;

დ.გ) პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ;

დ.დ) „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ.“


**5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ 4. მერის წარმომადგენელს აქვს ბლანკი.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი